№880 2015 წლის 24 აპრილი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, დედაქალაქის საავტობუსო პარკის მოძრავი შემადგენლობის მუშაობის შეფერხების თავიდან აცილებისა და ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მუნიციპალური ტრანსპორტით მოსახლეობის შეუფერხებლად გადაადგილების ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ (ს/კ 202886788), საბურავების სახელმწიფო შესყიდვა, 700 400 (შვიდასი ათას ოთხასი) ლარის ფარგლებში, განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, კომპანიის საკუთარი სახსრებიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**